დანართი N3

თანხმობა შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადებისა (დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი) და ობიექტის დაზღვევის შესახებ

1. **შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადები (დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი):**

ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ვავრცელებთ გარანტიას და დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების თარიღიდან ***2 წლის განმავლობაში***. ამასთან, გამოვხატავთ თანხმობას, ყოველი მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან განხორციელდება შესრულებული სამუშაოს ღირებულების 5%-ის დაკავება, სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად. დაკავებული 5%-დან, 2.5%-ის დაბრუნება განხორციელდეს სამუშაოების სრულად დასრულებისა და შემსყიდველის მიერ შექმნილი სამუშაოთა მიმღები კომისიის მიერ შედგენილი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. დარჩენილი 2,5%-ის დაბრუნება განხორციელდეს დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის (საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებულ სამუშაოთა დასრულების თარიღიდან 1 წელი) დასრულების შემდეგ.

2. **დაზღვევა:**

ჩვენ მიერ სამუშაოთა წარმოების დაწყებისთანავე, საკუთარი ხარჯებითა და ფრანშიზის ღირებულების გათვალისწინებით, შემსყიდველისა და ჩვენი კომპანიის სასარგებლოდ, საქართველოში რეგისტრირებული საფინანსო ინსტიტუტიდან წარმოდგენილი დაზღვევის პოლისის გამოყენებით ვუზრუნველყოფთ ობიექტის დაზღვევას ქვემოთ მოყვანილ თანხასა და ფრანშიზაზე:

ა) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხა ობიექტის დაზიანების კომპენსაციისათვის შეადგენს თავდაპირველად გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულებას ლარში, რომლის მოქმედების ვადა დაფარავს დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდს, კერძოდ, **2 წელს** საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოთა დასრულების თარიღიდან (მაქსიმალური დასაკავებელი თანხა: 8,500 ლარი).

ბ) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხა მიმწოდებლის მანქანა-დანადგარების დაზიანების, ან დაკარგვის შემთხვევაში შეადგენს 50,000 ლარს (მაქსიმალური დასაკავებელი თანხა: 1,000 ლარი), რომლის მოქმედების ვადა დაფარავს სამუშაოების მიწოდების ვადას.

გ) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები მესამე პირთა საკუთრების დაზიანებისათვის შეადგენს 100,000 ლარს (მაქსიმალური დასაკავებელი თანხა: 4,000 ლარი), რომლის მოქმედების ვადა დაფარავს სამუშაოების მიწოდების ვადას.

დ) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები მიმწოდებლის პერსონალის ტრამვის და/ან გარდაცვალების შემთხვევაში შეადგენს 50,000 ლარს (მინიმუმ 5000 ლარს/კაცზე სამუშაოთა დაწყების თარიღიდან მათი დამთავრების თარიღამდე), რომლის მოქმედების ვადა დაფარავს სამუშაოების მიწოდების ვადას და მესამე პირთა დაშავების, ან გარდაცვალების შემთხვევისათვის შეადგენს 50,000 ლარს (მინიმუმ 5000 ლარს/კაცზე სამუშაოთა დაწყების თარიღიდან მათი დამთავრების თარიღამდე), რომლის მოქმედების ვადა დაფარავს სამუშაოების მიწოდების ვადას.